განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში

საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
19 დეკემბერი, 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი
26 თებერვალი, 2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	405014979
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში
სწავლების ენა	ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო ხუნდაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ხოხობაია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ქარცივაძე, კინგსი საქართველო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა მიხელიძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას ფინანსებში აკრედიტაცია მიენიჭია 2014 წლის 8 აპრილს, 2014-2017 წლებში პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, რომელიც უკავშირდებოდა როგორც სასწავლო კურსებს, ასევე პროგრამის ძირითად ბადეში კრედიტების განაწილებას. კერძოდ, 2014 წელს ინტეგრირდა ,,სამაგისტრო ნაშრომი" და ,,სასწავლო პრაქტიკა", სასწავლო კურსს ,,მონაცემთა ანალიზი და მოდელირება" დაემატა სასწავლო კურსთან ,,რაოდენობრივი ანალიზი ბიზნესისათვის" დაკავშირებული საკითხები. ამავე პერიოდში პროგრამას დაემატა ,,ფინანსური პორტფელის მენეჯმენტი". 2015 წელს განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: გაერთიანდა სასწავლო კურსები: ,,ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები" და საბანკო საქმე", ,,საინვესტიციო გადაწყვეტილებები" და „ფინანსური პორტფელის მენეჯმენტი". სასწავლო კურსები გაერთიანდა 2016 წელსაც, ინტეგრირდა ,,მენეჯერული აღრიცხვა" და ,,ფინანსური დაგეგმვა და ბიუჯეტირება". 2017 წელს პროგრამაში შევიდა შემდეგი ცვლილებები: პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსი ,,ფინანსური პროგნოზირება", გაერთიანდა ,,აკადემიური წერა" და კვლევის მეთოდები". ასევე, შეიცვალა სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობაც. ცვლილებები განხორციელდა დაინტერესებული მახარეების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგების გათვალისწინებით.

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა ფინანსებში საბოლოო სახით განახლდა 2018 წლის 23 აგვისტოს, „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორის №173 ბრძანებით. აკრედიტაციის მიღების მიზნით პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი სახით: იგი ითვალისწინებს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. პროგრამაში სასწავლო კურსები დაყოფილია 2 ჯგუფად: ძირითად და სპეციალობის სასწავლო კურსებად. კვლევითი კომპონენტი გულისხმობს სამაგისტრო ნაშრომის დაწერას და დაცვას. საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი (6 ტრიმესტრი), ხოლო მოცულობა - 120 კრედიტი. კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად: ძირითადი სასწავლო კურსები შეადგენს 66 კრედიტს, სპეციალობის სასწავლო კურსები - 28 კრედიტს, ხოლო სამაგისტრო ნაშრომი - 26 კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში. სწავლების ენაა ქართული (პროგრამა ითვალისწინებს ინგლისურენოვან კომპონენტებსაც).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროგრამის (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში) აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა 2018 წლის 19 დეკემბერს. ვიზიტის დროს შედგა დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ, შეხვედრები განხორციელდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და

დამსაქმებლებთან. უნივერსტეტმა უზრუნველყო სამუშაო გარემო. ვიზიტის ფარგლებში ასევე განხორციელდა შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. შემოწმდა სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომობა, ასევე, გადამოწმდა ელექტრონული პორტალების ხელმისაწვდომობაც. ვიზიტის დროს უნივერსიტეტმა წარმოადგინა ექსპერთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია. ვიზიტის ფარგლებში ასევე მოხდა სამაგისტრო ნაშრომების გადახედვა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბუთების შესწავლისა და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების საფუძვლეზე ექსპერთა ჯგუფის მიერ დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში) აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინამდებარე დასკვნის მიხედვით (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში შესაბამისობაშია ან მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, კერძოდ:

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებდეს არჩევითი კომპონენტის არსებობას;
  - რეკომენდირებულია უნივერსიტეტის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ მოხდეს კვლევითი აქტივობების მეტად წახალისება, რათა პროგრამამ მეტად უზრუნველყოს სტუდენტის მიერ განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
  - რეკომენდირებულია ქართულენოვანი სავალდებულო ლიტერატურის გამოყენებაც ქართული კონტექსტის უკეთ გააზრების ხელშესაწყობად;
  - პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა კვლევითი უნარების მეტად განვითარების მიზნით რეკომენდირებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ მოხდეს კვლევითი აქტივობების მეტად წახალისება და სტუდენტებთან ამ კუთხით მეტი მუშაობა;

- რეკომენდირებულია სასწავლო პროცესის მსვლელობისას განისაზღვროს საკონსულტაციო შეხვედრებისთვის გამოყოფილი დრო და ადგილი, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების მხრიდან არ დაფიქსირებულა ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა;
- რეკომენდირებულია არჩევით კომპონენტად პროგრამა სთავაზობდეს პრაქტიკას ისეთ სტუდენტებს, ვისაც შესაძლოა არ ჰქონდეთ სამუშაო გამოცდილება;
- რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომების სილაბუსით გაწერილ ინსტრუქციებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- რეკომენდირებულია რეგულარულად მოხდეს პერიოდული პროფესიული გამოცემებით ბიბლიოთეკის გამდიდრება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში უფრო დეტალურად გაიწეროს შეფასების პროცესი, შეფასების ინდიკატორები და რუბრიკები;
  - სასწავლო კურსის „მარკეტინგული სტრატეგია და ანალიზი“ დასახელების შინაარსთან მეტად შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სასურველია მოხდეს სასწავლო კურსის დასახელების შემდეგნაირად ფორმულირება: „სტრატეგიული მარკეტინგი“;
  - სასურველია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში უფრო ნათლად დაფიქსირდეს სამაგისტრო ნაშრომის ერთჯერადად შეფასების საკითხი (რადგანაც ნაშრომის შეფასება ხდება ხელმძღვანელის მიერაც).
  - სასურველია უნივერსიტეტმა მეტი აქცენტი გააკეთოს აკადემიურ პერსონალად მინიმუმ მაგისტრი ხარისხის მქონე პირების აყვანაზე ან არსებული პერსონალის მიერ მეტად მოხდეს სტუდენტებთან კვლევითი აქტივობებით დაინტერესების კუთხით მუშაობა;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - კურსდამთავრებულთა ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების მიზნით მათი უზრუნველყოფა (უფასოდ) დარგთან დაკავშირებული ტრენინგებით მათივე მოთხოვნის საფუძველზე;
  - პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის წახალისების მექანიზმი უკავშირდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების განაწილებას: უნივერსიტეტი განიხილავს პედაგოგის წახალისების საკითხს, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი კონკრეტულ სასწავლო კურსში იღებს ნორმალური განაწილების სახეს, რაც პედაგოგების მხრიდან პროცესების ობიექტურად წარმართვის მოტივაციას ქმნის.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში მიზნად ისახავს მოამზადოს მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი ფინანსისტები, რომლებიც სიღრმისეული და თანამედროვე ცოდნის, პროფესიული და ტრანსფერული უნარების საფუძველზე შეძლებენ ხარისხიანად განახორციელონ მმართველობითი ფუნქციები, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. შეძლებენ, შეეჭიდონ, გააანალიზონ და ადეკვატურად უპასუხონ დარგის თანამედროვე გამოწვევებს. საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით წვლილი შეიტანონ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია უნივერისტეტის მისიასთან, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტი ორიენტირებულია თანამედროვე, ხარისხიანი, პრაქტიკულ კომპეტენციებსა და კვლევებზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების მიწოდებასა და უწყვეტი განათლების ხელშეწყობაზე; კრიტიკული აზროვნების მქონე ლიდერების გაზრდაზე, რომლებიც მზად არიან შეეჭიდონ და თავი გაართვან სწრაფად ცვალებადი გარემოს გამოწვევებს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ამასთანავე, დასტურდება, რომ პროგრამა ემსახურება მისიაში ასახული უწყვეტი განათლების ხელშეწყობას, კერძოდ, ინტერვიუს დროს პროგრამის კურსდამთავრებულებმა ხაზი გაუსვეს უნივერსიტეტის მზაობას პროგრამის დასრულების შემდეგ უზრუნველყონ ისინი დარგთან დაკავშირებული დამატებითი ტრენინგებით მათი თხოვნის საფუძვლეზე. პროგრამის მიზანი ნათლადაა ფორმულირებული, მასში ასახულია თუ რა ცოდნისა და უნარების განვითარებაზეა პროგრამა ორიენტირებული, პროგრამის მიზანი ასევე ხაზს უსვამს პროგრამის კურსდამთავრებულთა უნარს გამოიყენონ მიღებული ცოდნა არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო დონეზე. აღნიშნულის განხორციელებას შესაძებელია ხელს უწყობდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დადგენილი ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის მოთხოვნა, რაც სასწავლო კურსების ფარგლებში

თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურის ინტენსიურად გამოყენების საშუალებას იძლევა. პროგრამის მიზანი მიღწევადია. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი საჯაროდ ხელმისაწვდომია (http://bog.edu.ge/uploads/pages/mba-in-finance-programa-54.pdf). საქართველოს ბანკის უნივერსიტეტში ვიზიტისას დადასტურდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეების მიერ პროგრამის მიზნის გაზიარება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის მიზანი; ○ უნივერსიტეტის მისია; ○ ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: ○ N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ კურსდამთვრებულთა ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების მიზნით მათი უზრუნველყოფა (უფასოდ) დარგთან დაკავშირებული ტრენინგებით მათივე მოთხოვნის საფუძველზე.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები დეტალურად აღწერს იმ ძირითად ცოდნასა და უნარებს რასაც პროგრამის კურსდამდავრებული შეიძენს პროგრამის დასრულების შედეგად. სწავლის შედეგები პროგრამაში წარმოდგენილია რუკის სახით, რაც საშუალებას იძლევა განისაზრვროს პროგრამით გათვალისწინებული თითოეული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგი და თითოეული სწავლის შედეგის მიღწევაში პროგრამის სავალდებულო კომპონენტების მონაწილეობა. სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან: პროგრამით მისაღწევი ცოდნისა და უნარების ფლობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნით განსაზღვრული კვალიფიციური ფინანსისტის მომზადებას, რაც თავისმხრივ ნიშნავს, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს (რაც ასევე დასტურდება სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლით. კურსდამთავრებულთა 97% დასაქმებულია, ხოლო 95% დასაქმებულია კვალიფიკაციის შესაბამისად). პროგრამით დასახული სწავლის შედეგები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სწავლის შედეგები მიღწევადი და გაზომვადია. საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და გეგმა, სადაც აღწერილია შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენება. თუმცა სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში არ არის წარმოდგენილი შეფასების პროცესის აღწერა, ასევე შეფასების რა ინდიკატორებსა და რუბრიკებს დაეყრდნობა შემფასებელი / შემფასებლები იმისათვის, რომ განსაზღვროს მიღწეულია თუ არა თითოეული სწავლის შედეგი. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება არაერთი შემფასებლის მიერ (პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებლის მიერ). საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად ორიენტირებულია სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარებაზე (თუმცა პროგრამა ითვალისწინებს კვლევისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების განვითარებასაც, მაგ. პროგრამის ერთ-ერთი სწავლის შედეგია: „კვლევების ძირითადი მიდგომებისა და ეტაპების, კვლევისათვის აუცილებელი რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის მეთოდების ცოდნა“). ინტერვიუების დროს ნაკლებად გამოიკვეთა პროგრამის ფარგლებში კვლევითი აქტივობების წახალისება, კურსდამთავრებულთა მხრიდან დაფიქსირდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ შესაძლებელია

დაინტერესებულიყვნენ კვლევებით, თუმცა არ ყოფილა ამ კუთხით პედაგოგების მხრიდან მუშაობა. რადგანაც სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს და პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს კვლევასთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბებას (რაც შემგომში ხელს შეუწყობდა სადოქტორო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას), ვთვლით, რომ რეკომენდირებულია პროგრამის ფარგლებში მოხდეს კვლევითი აქტივობების მეტად წახალისება, რათა არ მოხდეს სტუდენტის მიერ განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის შეფერხება. საქართველოს ბანკის უნივერსიტეტში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა. სწავლის შედეგების შეფასების გათვალისწინებით ხდება პროგრამასთან დაკავშირებული საჭირო ცვლილებები (სასწავლო კურსების სალექციო თემატიკების გადახედვა-ოპტიმიზაცია, სალექციო მასალის განახლება, შეფასების კომპონენტების დახვეწა, სწავლის მეთოდების გადახედვა, სასწავლო კურსების გაერთიანება / დამატება (დეტალები განხორციელებული ცვლილებების შესახებ იხ. წინამდებარე დასკვნის საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ზოგადი ინფორმაციის ნაწილში). შეფასების შედეგების გათვალისწინება დასტურდება ინტერვიუების საფუძველზეც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; ○ უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში); ○ ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან; ○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია უნივერსიტეტის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ მოხდეს კვლევითი აქტივობების მეტად წახალისება, რათა პროგრამამ მეტად უზრუნველყოს სტუდენტის მიერ განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში უფრო დეტალურად გაიწეროს შეფასების პროცესი, შეფასების ინდიკატორები და რუბრიკები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში) დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დეტალურადაა განსაზღვრული, კერძოდ:

1) ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა (დასტურდება სერტიფიკატით ან შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით);
2) სპეციალობის გამოცდაში დადგენილი მინიმალური დონის გადალახვა;
3) უნივერსიტეტის მიერ შედგენილი კომისიის წინაშე გასაუბრების წარმატებით გავლა.

პროგრამით განსაზღვული დაშვების წინაპირობები ლოგიკურია და ხელს უწყობს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის მოთხოვნა საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაეცნონ თანამედროვე ინგლისურენოვან ლიტერატურასა და შესაბამისად გაიზიარონ საერთაშორისო ცოდნა და გამოცდილება. სპეციალობაში გამოცდის დაწესება კი გარკვეულწილად უზრუნველყოფს განსხვავებული დარგის სპეციალისტების მიერ ფინანსებში საბაზისო ცოდნის დაუფლებას, რაც მათ დაეხმარება პროგრამით დასახული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევაში. პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პერსონალმა ინტერვიუების დროს დაადასტურა პროგრამის დაძლევის უნარის მქონე სტუდენტების დაშვება პროგრამაზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯაროა და ხელმისაწვდომი (http://bog.edu.ge/ge/page/id/62/biznesis-administrirebis-samagistro-programa-finansebshi).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- N/A

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- N/A

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში შედგენილია საქართველოს ბანკის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის (დამტკიცებულია შპს საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 30 იანვრის N26 ბრძანებით) შესაბამისად, რომელიც თავისმხრივ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებს.

პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად პროგრამის მოცულობა და შინაარსი შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს.

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი. პროგრამით გათვალისწინებულია ძირითადი სასწავლო კურსები 66 კრედიტის მოცულობით, სპეციალობის სასწავლო კურსები 28 კრედიტის მოცულობით და სამაგისტრო ნაშრომი 26 კრედიტის მოცულობით, რაც განაპირობებს სტუდენტის, როგორც ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, ისე ფინანსების დარგში სამაგისტრო საფეხურის შესაბამისი ცდონითა და უნარებით უზრუნველყოფას, ამასთანავე, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაძლებელს ხდის პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. ამდენად, პროგრამის შინაარსი, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში).

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების თანმიმდევრობა და სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურადაა განსაზღვრული.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინასნებში არ ითვალისწინებს თავისუფალი კომპონენტების არსებობას და შესაბამისად არ უზრუნველყოფს თავისუფალი

კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას. პროგრამა არ სთავაზობს სტუდენტებს არჩევით სასწავლო კურსებს. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებდეს ისეთი სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობას, რომელიც შესაძლოა არ გადიოდეს ფინანსების დარგისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სწავლის შედეგებზე, თუმცა მნიშვნელოვანია ფინანსების დარგისთვის (მაგალითად, როგორიცაა მონაცემთა ანალიზი ექსელის გამოყენებით, ბიზნეს ეთიკის საკითხები). აღნიშნული საკითხები (მონაცემთა ანალიზი ექსელის გამოყენებით), როგორც ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, პროგრამის ფრაგლებს მიღმა ტარდება სტუდენტების/კურსდამთავრებულების მოთხოვნის საფუძველზე, თუმცა ვთვლით, რომ კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანი ცოდნითა და უნარებით უზრუნველყოფა პროგრამის ფარგლებში უნდა მოხდეს და არ იყოს დამოკიდებული სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა სურვილსა და მოთხოვნებზე. საქართველოს ბანკის უნივერსიტეტში განხორციელებული ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუების დროს დაინტერესებულმა მხარეებმა (პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა) დაადასტურეს პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში მათი ჩართულობა. საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომი (http://bog.edu.ge/uploads/pages/mba-in-finance-programa-54.pdf).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებდეს არჩევითი კომპონენტის არსებობას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ამასთანავე, სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და სამაგისტრო საფეხურს.

სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი, ლექტორთან საკონტაქტო და სტუდენტის დამოუკიდებელი საათები ლოგიკურია და შეესაბამება სასწავლო კურსით მისაღწევ სწავლის შედეგებს. ასევე, ლოგიკურია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა.

სასურველია სასწავლო კურსის დასახელების დაზუსტება, კერძოდ, სასწავლო კურსის „მარკეტინგული სტრატეგია და ანალიზი“ დასახელების შინაარსთან მეტად შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სასურველია მოხდეს აღნიშნული დასახელების შემდეგნაირად ფორმულირება: „სტრატეგიული მარკეტინგი“.

სასწავლო კურსების სილაბუსში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარს, სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა თანამედროვეა და შესაბამისად, უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

თუმცა არის ამ კუთხით გასაუმჯობესებელი საკითხი, კერძოდ, ერთი შემთხვევის გარდა (საგადასახადო და ბიზნეს სამართალი) ყველა სხვა სასწავლო კურსში მითითებულია მხოლოდ ინგლისურენოვანი ძირითადი ლიტერატურა. სასურველია ქართულენოვანი სავალდებულო ლიტერატურის გამოყენებაც ქართული კონტექსტის უკეთ გააზრების ხელშესაწყობად, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა სასწავლო კურსი ითვალისწინებს ქართული კონტექსტისა თუ საკითხების შესწავლას. მაგალითად, სასწავლო კურსი „ფინანსური ინსტიტუტები და საბანკო საქმე“ თავისთავად უთმობს შეხვედრების გარკვეულ ნაწილს ისეთ საკითხებს, როგორიცაა საქართველოს ფინანსური გარემოს

განვითარების მოკლე ისტორია, საქართველოს საბანკო ბაზარი, პრუდენცული რეგულაციები (ბაზელი და საქართველოს ეროვნული ბანკი), სადაც ისევ ინგლისურენოვანი ლიტერატურაა მითითებული, რაც თავისთავად ვერ უზრუნველყოფს აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2017-18 აკადემიური წლის ანგარიში.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია ქართულენოვანი სავალდებულო ლიტერატურის გამოყენებაც ქართული კონტექსტის უკეთ გააზრების ხელშესაწყობად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასწავლო კურსის „მარკეტინგული სტრატეგია და ანალიზი“ დასახელების შინაარსთან მეტად შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სასურველია მოხდეს სასწავლო კურსის დასახელების შემდეგნაირად ფორმულირება: „სტრატეგიული მარკეტინგი“.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინასნებში უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას სასწავლო კურსის ფარგლებში. სწავლების პროცესში სასწავლო კურსების ფარგლებში აქტიურად გამოიყენება პრაქტიკული სავარჯიშოები და ბიზნეს სიტუაციების ანალიზი.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინასნებში არ ითვალისწინებს სამუშაო პრაქტიკის კომპონენტის არსებობას (იგი ინტეგრირებულია სამაგისტრო ნაშრომში). უნივერსიტეტში ვიზიტისას, ინტერვიუების დროს, აღნიშნული საკითხი განიმარტა იმ მიზეზით, რომ სტუდენტთა უმეტესობა დასაქმებულია და არ საჭიროებენ პრაქტიკული უნარების პროგრამის ფარგლებში განვითარებას (იგულისხმება სამუშაო პრაქტიკა). სასურველია არჩევით კომპონენტად პროგრამა სთავაზობდეს სამუშაო პრაქტიკას ისეთ სტუდენტებს, ვისაც შესაძლოა არ ჰქონდეთ სამუშაო გამოცდილება (მითუმეტეს, რომ პროგრამა პრაქტიკული უნარების განვითარებაზეა მეტად ორიენტირებული).

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინასნებში მოიცავს კვლევით კომპონენტს, რაც გულისხმობს სამაგისტრო ნაშრომის დაწერასა და დაცვას. საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომების კვალიფიციური კადრის მიერ ხელმძღვანელობას. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევისას მხედველობაში მიიღება: გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები; შესრულებული კვლევითი პროექტი; სამეცნიერო კონფერენციაში წარდგენილი მოხსენება; გამოცემული სახელმძღვანელო; სამეცნიერო ნაშრომების ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა; სამეცნიერო ნაშრომის რეცენზენტობა. თუმცა, პროგრამის ფარგლებში ნაკლებად ხდება კვლევითი აქტივობების წახალისება და პედაგოგების მხრიდან სტუდენტებთან ამ კუთხით მუშაობა, რაც ასევე იკვეთება ინტერვიუების დროსაც. რადგან პროგრამა ითვალისწინებს კვლევისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების განვითარებას, სასურველია მეტი მუშაობა მოხდეს სტუდენტებთან პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ ამ კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა კვლევითი უნარების მეტად განვითარების მიზნით რეკომენდირებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ მოხდეს კვლევითი აქტივობების მეტად წახალისება და სტუდენტებთან ამ კუთხით მეტი მუშაობა;
- სასურველია არჩევით კომპონენტად პროგრამა სთავაზობდეს პრაქტიკას ისეთ სტუდენტებს, ვისაც შესაძლოა არ ჰქონდეთ სამუშაო გამოცდილება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს. სწავლა-სწავლების მეთოდები ლოგიკურადაა გამოყენებული სასწავლო კურსში, შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შეინაარსთან და უზრუნველყოფს სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროგრამის გახორციელებაში ჩართულ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად დასტურდება სტუდენტებთან ინდივიდუალური მიდგომების გამოყენება საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი საკითხავი ლიტერატურით, დამატებითი კონსულტაციებით უზრუნველყოფა. პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსები ითვალისწინებს შესაბამისი სწავლების მეთოდების გამოყენებას, მაგალითად პრაქტიკული სავარჯიშოების, ბიზნეს სიტუაციების ანალიზის ინტენსიური გამოყენება, პროექტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;

○ ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: ○ N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის მიხედვით. შეფასების პროცედურა გამჭირვალეა სტუდენტებისათვის და კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია. შეფასების სტრუქტურა მრავალკომპონენტიანია და მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. თითოეული სასწავლო კურსისთვის შემუშავებულია შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტები, მათი რაოდენობა და წონები. შეფასების სისტემის თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა უკმაყოფილების შემთხვევაში გაასაჩივროს მიღებული შეფასება. აღნიშნულ საკითხს არეგულირებს უნივერსიტეტის შემდეგი დოკუმენტი: „საჩივრები და გასაჩივრების პროცედურები“ (დამტკიცებულია შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 22 მაისის N104 ბრძანებით), რომელიც

განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (http://bog.edu.ge/uploads/pages/da-gasachivrebis-procedurebi-77.pdf). გასაუბრების დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი იცნობენ შეფასების სისტემას და მათ ჯერჯერობით არ დასჭირვებიათ ნაშრომის გასაჩივრება. ინტერვიუების შედეგად უნივერსიტეტის წარმომადგენლების მხრიდან დადასტურდა სამაგისტრო ნაშრომის ერთჯერადად შეფასება დასკვნითი შეფასებით, კომისიური წესით. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე. სასურველია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში უფრო ნათლად დაფიქსირდეს სამაგისტრო ნაშრომის ერთჯერადად შეფასების საკითხი (რადგანაც ნაშრომის შეფასება ხდება ხელმძღვანელის მიერაც). შეფასების სისტემა გაწერილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების აღიარების წესში“ (დამტკიცებულია შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 29 დეკემბრის N126 ბრძანებით), რომელიც განთავსებულია საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (http://bog.edu.ge/uploads/pages/pdfresizercompdfresize-5-27.pdf). ყოველი სასწავლო კურსის დაწყების წინ ხდება შეფასების სისტემის სტრუქტურის გაცნობა სტუდენტებისთვის. სტუდენტებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ ისინი იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა და შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ შპს საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის „საჩივრები და გასაჩივრების პროცედურები“; ○ შპს საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების აღიარების წესი“; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: ○ N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში უფრო ნათლად დაფიქსირდეს სამაგისტრო ნაშრომის ერთჯერადად შეფასების საკითხი (რადგანაც ნაშრომის შეფასება ხდება ხელმძღვანელის მიერაც).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია როგორც სტუდენტური პორტალის (Moodle) მეშვეობით, აგრეთვე უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან საკონსულტაციო შეხვედრების გზით.

Moodle სისტემა წარმოადგენს სასწავლო კურსის პედაგოგსა და სტუდენტს შორის საკომუნიკაციო ოფიციალურ სისტემას. აღნიშნულ სისტემას იყენებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციაც სტუდენტთან საკომუნიკაციოდ.

საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტში არსებული აკადემიური/მოწვეული პერსონალი საჭიროების შემთხვევაში უწევს კონსულტაციას სტუდენტს და აწვდის სათანადო ინფორმაციას. საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია (შეხვედრის წინასწარ განსაზღვრული დრო და ადგილი) არ ფიქსირდება სასწავლო კურსის სილაბუსებში. თუმცა სტუდენტების თანახმად აღნიშნული არ ქმნის კომუნიკაციის პრობლემას.

საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის პროექტებსა და აქტივობებში, თუმცა დროის უქონლობის გამო სტუდენტების მხრიდან ჩართულობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. სასწავლო უნივერსიტეტში არსებული პროექტების და მობილობის შესაძლებლობების შესახებ სტუდენტები დროულად იღებენ ინფორმაციებს სხვადასხვა გზების საშუალებით.

თვითშეფასების ანგარიშზე და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტების სერვისის გასაუმჯობესებლად პერიოდულად ატარებს სტუდენტების გამოკითხვას და ითვალისწინებს მათ რჩევებსა და რეკომენდაციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- საინფორმაციო პორტალი „Moodle“;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2017-18 აკადემიური წლის ანგარიში.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია სასწავლო პროცესის მსვლელობისას განისაზღვროს საკონსულტაციო შეხვედრებისთვის გამოყოფილი დრო და ადგილი, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების მხრიდან არ დაფიქსირებულა ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში) ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას აუცილებელი კონსულტაციებით უზრუნველყოფის მიზნით სტუდენტს ენიშნება ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი ან მოწვეული პერსონალი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევისას გათვალისწინებულია შემდეგი კრიტერიუმები: გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები; შესრულებული კვლევითი პროექტი; სამეცნიერო კონფერენციაში წარდგენილი მოხსენება; გამოცემული სახელმძღვანელო; სამეცნიერო ნაშრომების ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა; სამეცნიერო ნაშრომის რეცენზენტობა. სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა ხდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე. თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუების შედეგების მიხედვით სტუდენტს შეუძლია აირჩიოს კვალიფიციური ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომების სტრუქტურას და გაფორმების წესს განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი. ვიზიტის ფარგლებში შემოწმებული სამაგისტრო ნაშრომები რიგ შემთხვევებში არ შეესაბამება სილაბუსით გაწერილ გაფომების წესსა და მოთხოვნებს, კერძოდ, ერთ-ერთი ნაშრომი არ აღწერს კვლევის მეთოდოლოგიას, ასევე, ერთ-ერთი ნაშრომი გამოირჩევა მითითებული ლიტერატურის სიმწირით (არ არის მითითებული

სამეცნიერო წყაროები). სასურველია სამაგისტრო ნაშრომების სილაბუსით გაწერილ ინსტრუქციებთან შესაბამისობაში მოყვანა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი; ○ სამაგისტრო ნაშრომები.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომების სილაბუსით გაწერილ ინსტრუქციებთან შესაბამისობაში მოყვანა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას ფინანსებში ახორციელებს 18 პერსონალი, მათ შორის 6 აფილირებული ასოცირებული პროფესორი და 12 მოწვეული პერსონალი. სასწავლო პროცესის მხარდაჭერის მიზნით საქმიანობს 15 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. პერსონალის უმრავლებას აქვს შესაბამისი აკადემიური და პროფესიული გამოცდილება. თუმცა, 3 პერსონალი ფლობს მხოლოდ ბაკალავრის ხარისხს, მაგრამ აღსანიშნავია მათი გამოცდილება პროფესიული საქმიანობის კუთხით. რადგანაც ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა სტუდენტების პასიურობა კვლევით აქტივობებთან დაკავშირებით, რაც გარკვეულწილად შესაძლოა უკავშირდებოდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ კვლევითი საქმიანობის ნაკლებად წახალისებას, ვთვლით, რომ სასურველია უნივერსიტეტმა მეტი აქცენტი გააკეთოს აკადემიურ პერსონალად მინიმუმ მაგისტრი ხარისხის მქონე პირების აყვანაზე ან არსებული პერსონალის მიერ მეტად მოხდეს სტუდენტებთან ამ კუთხით მუშაობა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა ადეკვატურ შესაბამისობაშია სასწავლო პროცესთან. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა არის 6/12, რაც გამოწვეულია იმით, რომ პროგრამა მაღალი დონის პრაქტიკული უნარებით აღჭურვილ კადრებს ამზადებს,

შესაბამისად მათ მომზადებას უფრო პრაქტიკოსი და გამოცდილი პერსონალი უზრუნველყოფს ვიდრე აკადემიური. მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებლი არის 50.1% ბოლო 5 წლის განმავლობაში, რასაც უნივერსიტეტის რექტორი მოწვეული პერსონალის გადარჩევით ხსნის. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია როგორც აკადემიური ასევე პროფესიული გამოცდილება და ის უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, რაც დასტურდება მასთან ინტერვიუს შედეგად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ პროგრამის აღწერა.
რეკომენდაციები: ○ N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია უნივერსიტეტმა მეტი აქცენტი გააკეთოს აკადემიურ პერსონალად მინიმუმ მაგისტრი ხარისხის მქონე პირების აყვანაზე ან არსებული პერსონალის მიერ მეტად მოხდეს სტუდენტებთან კვლევითი აქტივობებით დაინტერესების კუთხით მუშაობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ადმინისტრაცია რეგულარულად და პერიოდულად აწარმოებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის მონიტორინგს კოლეგიალური დასწრების და სტუდენტების პერიოდული გამოკითხვის საშუალებით. რის საფუძველზეც ახდენს კიდეც პროგრამის პერიოდულ დახვეწასა, და პერსონალის დატრენინგებას. უტარებს მათ შესაბამის სემინარებსა და ვორქშოფებს. პერსონალის ინიციატივის შესაბამისად, ფინანსურად მხარს უჭერს მათ სამეცნიერო საქმიანობასა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა სემინარებში მონაწილეობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და თანდართული დოკუმენტები; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ფაკულტეტის და პროგრამის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები: ○ N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია სასწავლო აუდიტორიებით, კომპიუტერული კლასით და ბიბლიოთეკით. სასწავლო აუდიტორიები უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით. სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ შექმნილია სპეციალური პორტალი. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია აუცილებელი სასწავლო ლიტერატურა, როგორც ფიზიკური ასევე ელექტრონული სახით. საყურადღებოა ბიბლიოთეკაში პროფესიული პერიოდული გამოცემების სიმწირე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები; ○ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ○ პროგრამის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია რეგულარულად მოხდეს პერიოდული პროფესიული გამოცემებით ბიბლიოთეკის გამდიდრება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში) 2018 წლის ბიუჯეტი. წარმოდგენილი ბიუჯეტი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის განვითარების / ტრენინგების, ასევე სტუდენტების განვითარების / ტრენინგების, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების, კვლევების, კონფერენციებისა და სტატიების გამოქვეყნების დაფინანსების, სასწავლო მასალების და ბიბლიოთეკის განვითარების ხარჯებს. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებასა და მისი ხარისხიანად განხორციელების ხელშეწყობას. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამის 2018 წლის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: ○ N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარეს“ პრინციპით მუშაობას. ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების გეგმაში ყურადღება გამახვილებულია აკადემიურ სტანდარტზე, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური თვალსაზრისით მიზნების მიღწევის დონეს. ასევე, ყურადღება გამახვილებულია მომსახურების და ხარისხის სტანდარტზე, რომელიც ფოკუსირებულია მომსახურების ხარისხობრივ პარამეტრებზე, ხოლო ხარისხის სტანდარტში გათვალისწინებულია ნორმები და წესები რომელიც მნიშვნელოვანია ეფექტიანი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების პრაქტიკაში იმპლემენტაციის თვალსაზრისით. მთლიანობაში სისტემა ითვალისწინებს ხარისხის მექანიზმის გამოყენებას როგორც საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, ისე მისი შემდგომი განვითარების ეტაპზე. მაგალითად, დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინებულია როგორც მოკლევადიანი, ასევე

გრძელვადიანი აქტივობები. განხორციელების ეტაპზე დაკონკრეტებულია ამოცანები, აქტივობები და მექანიზმები. პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების გათვალისწინებით ხდება საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარება მასში ცვლილების შეტანის გზით. სტუდენტებს საშუალება აქვთ დააფიქსირონ მოსაზრებები სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, როგორც ტრიმესტრის ბოლოს, ასევე სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. აღნიშნული ხელს უწყობს ეფექტიანი უკუკავშირის სისტემის დანერგვას, რაც ღირებულია როგორც სტუდენტებისათვის, ასევე სასწავლო კურსების განხორციელებაში ჩართული პროფესორებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის შემუშავებულია სხვადასხვა კითხვარები და ფორმები, მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა, სილაბუსის შეფასების ფორმა, სასწავლო კურსის შეფასების ფორმა სტუდენტისთვის, სასწავლო კურსის შეფასების ფორმა პედაგოგისთვის, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შეფასების კითხვარი, პედაგოგის შეფასების ფორმა სტუდენტისთვის, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების შეფასების კითხვარი სტუდენტთათვის და პედაგოგებისათვის, კითხვარი დასაქმების მაჩვენებლების შესახებ. პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს მიღებული შედგების გაანალიზებას და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავებას. სტუდენტის მიერ პედაგოგების შეფასების შედეგებს შპს საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი იყენებს პედაგოგების წახალისების მიზნით. აღნიშნული წახალისების მექანიზმი უკავშირდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების განაწილებას. აღსანიშანვია, რომ უნივერსიტეტი განიხილავს პედაგოგის წახალისების საკითხს, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი კონკრეტულ სასწავლო კურსში იღებს ნორმალური განაწილების სახეს, რაც პედაგოგების მხრიდან პროცესების ობიექტურად წარმართვის მოტივაციას ქმნის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების გეგმა; ○ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; ○ პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები; ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2017-18 აკადემიური წლის ანგარიში.
რეკომენდაციები: ○ N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის წახალისების მექანიზმი უკავშირდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების განაწილებას: უნივერსიტეტი განიხილავს პედაგოგის წახალისების საკითხს, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი კონკრეტულ სასწავლო კურსში იღებს ნორმალური განაწილების სახეს, რაც პედაგოგების მხრიდან პროცესების ობიექტურად წარმართვის მოტივაციას ქმნის.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- N/A

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი პროგრამის გარე შეფასების მექანიზმად იყენებს უნივერსიტეტის ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებს. საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების დროს ხორციელდება თვითშეფასებითა და საავტორიზაციო თუ სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზება, ექსპერტთა მიერ ფორმულირებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება, რაც მათი შინაარსის გათვალისწინებით, გამოყენებუმლი იქნება პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით. უნივერსიტეტის წარმომადგენლები ესწრებიან განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს, შეხვედრებს, რაც მნიშვნელოვანია გარე ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი პროგრამის გარე შეფასების მექანიზმად ასევე იყენებს დასაქმების ბაზრის კვლევასა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზს.

ანალიზის შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და დახვეწის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან; ○ უნივერსტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2017-18 აკადემიური წლის ანგარიში; ○ დასაქმების ბაზრის კვლევის ანგარიში.
რეკომენდაციები: ○ N/A
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ N/A
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ N/A
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება. შეფასებისათვის გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. პირდაპირ მეთოდად გამოიყენება სასწავლო კურსებში არსებული შეფასების მექანიზმები, ხოლო არაპირდაპირ მეთოდად გამოყენებულია სტუდენტების, განმახორციელებლების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები. პროგრამის მონიტორინგი ხორციელდება როგორც ტრიმესტრის, ასევე სასწავლო წლის დასრულების შემდეგ. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის კითხვარები, რომელიც კონტექსტუალურად ეხება შემდეგ საკითხებს: 1. სტუდენტთა ტრიმესტრული გამოკითხვა სასწავლო კურსის პედაგოგის და სასწავლო კურსის შეფასების მიზნით; 2. პედაგოგთა გამოკითხვა სასწავლო კურსების შეფასებისა და სტუდენტთა დატვირთვის მიზნით; 3. სტუდენტთა მიმდინარე გამოკითხვები სასწავლო კურსების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის მიზნით; 4. სტუდენტთა გამოკითხვები სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების მიზნით; 5. კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვა დასაქმების მაჩვენებლების შესახებ; 6. განმახორციელებელ პერსონალთან და დამსაქმებლებთან შეხვედრები პროგრამის მონიტორინგის და გაუმჯობესების მიზნით; 7. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამის განმახორციელებლებისა და მიღწეული შედეგების შეფასების მიზნით; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება მიღებული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან შედარება და ანალიზი. რაც მნიშვნელოვანია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სისტემური შეფასების თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2017-18 აკადემიური წლის ანგარიში.

რეკომენდაციები:

- N/A

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- N/A

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- N/A

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ N/A
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა ფინანსებში

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: სოფიო ხუნდაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: მერაბ ხოხობაია

სახელი, გვარი, ხელმოწერა: დავით ქარცივაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ანა მიხელიძე